პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მწერალთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი | № 82 (10476) | პარასკევი, 6 აპრილი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

დღეს ნომერშია:

შვედი და საბჭოთა ხალხების მეგობრობისათვის. — **„პრავდის“ 5-IV მოწინავე** (1-ლი გვერდი).

მოსკოვიდან გაემგზავრა შვეციის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი (1-ლი გვერდი).

დარბაზობა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში (1-ლი გვერდი).

თ. ნატროშვილი. — წარმატებით ჩავატაროთ „ტყის დღე“ (1-ლი გვერდი).

კომუნისტური პარტია იმარჯვებდა და იმარჯვებს ლენინიზმისადმი ერთგულებით. — **„პრავდის“ 5-IV სარედაქციო სტატია** (მე-2 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიას შორის სასაქონლო კრედიტის შესახებ შეთანხმებისა და იუგოსლავიისათვის საბჭოთა კავშირის მიერ სესხის მიცემის შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია (მე-2 გვერდი).

საღღეისო თემაზე. — დროზე, მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ შაქრის ჭარხლის თესვა (მე-3 გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — **გ. მეფისაშვილი.** — განუწყვეტლივ ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება (მე-3 გვერდი).

ს. ბელიაევსკაია. — სოციალისტური შეჯიბრება დატაცებასთან ბრძოლა ჩვენი საერთო საქმეა (მე-3 გვერდი).

მსოფლიოს რუკასთან. — **გ. ...** შვეცია (მე-4 გვერდი).

ა. ი. მიქოიანი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

შვედი და საბჭოთა ხალხების მეგობრობისათვის

29 მარტიდან 4 აპრილამდე მოსკოვში იყო შვეციის პრემიერ-მინისტრი ტაგე ერლანდერი, რომელიც ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

პრემიერ-მინისტრ ტ. ერლანდერსა და მასთან ერთად ჩამოსულ შინაგან საქმეთა მინისტრ გ. ჰედლუნდს მოლაპარაკება ჰქონდათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ა. ბულგანინთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ნ. ს. ხრუშჩოვთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან ვ. მ. მოლოტოვთან და საბჭოთა კავშირის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან.

ამ მოლაპარაკების შედეგები, რომლებიც მოყვანილია საბჭოთა კავშირ-შვეციის კომუნიკეში, უეჭველია, შეესაბამება როგორც შვეციისა და სსრ კავშირის სასიცოცხლო ინტერესებს, ისე ჩრდილოეთ ევროპაში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

საბჭოთა კავშირისა და შვეციის სახელმწიფო მოღვაწეებს შორის აზრთა გულახდილი და სასარგებლო გაზიარება მიმდინარეობდა მეგობრობისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთებით, რომლებიც ახასიათებენ შვეციისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას.

დიდი მნიშვნელობა აქვს აზრთა გაზიარებას საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. „შვეციის პრემიერ-მინისტრმა და შვეციის შინაგან საქმეთა მინისტრმა,—ნათქვამია კომუნიკეში,—აღნიშნეს, რომ შვეცია ახორციელებს მშვიდობიან დროს კავშირებისაგან თავისუფლების თავის ტრადიციულ პოლიტიკას, რომლის მიზანია ომის შემთხვევაში ნეიტრალიტეტის დაცვა იმ ვალდებულებათა ფარგლებში, რომლებსაც აკისრებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობა, და რომ შვეციის მხარის აზრით, ეს საგარეო პოლიტიკა შეესაბამება არა მარტო შვეციის ინტერესებს. არამედ მან ხელი უნდა შეუწყოს აგრეთვე მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობას ევროპის ამ ნაწილში. საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ სსრ კავშირი, ისევე როგორც დღემდე, პატივს სცემს შვეციის ამ პოლიტიკას — კავშირებისაგან თავისუფალ და მშვიდობიან პოლიტიკას“.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ შვეციის სახელმწიფოს მიერ ნეიტრალური პოლიტიკის თანდათანობით განხორციელება შეესაბამება მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს. ასეთ პოლიტიკას მუდამ პატივისცემით ეკიდება საბჭოთა ხალხი.

საერთაშორისო საზოგადოებრიობის ფართო წრეები მოწონებით შეხვდნენ აგრეთვე კომუნიკეში მოყვანილ განცხადებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი და შვეცია დაინტერესებული არიან „ხელი შეუწყონ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებასა და ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებას იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც გამოხატულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში და რომლებიც შეიცავენ, კერძოდ, წევრ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემას, თავდაუსხმელობასა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობას“.

ფინეთის, ნორვეგიის, დანიის სახელმწიფო მოღვაწეებთან საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა წინა შეხვედრების მსვლელობაში აგრეთვე მოწონებულ იქნა საერთაშორისო ურთიერთობის აღნიშნული პრინციპები. ამ დიადი პრინციპების განხორციელება საშუალებას იძლევა, რომ ჩრდილოეთ ევროპა გახდეს მშვიდობის ბასტიონი, აქ მცხოვრები ყველა ხალხის მეგობრული კეთილმეზობლური ურთიერთობის ზონა, განამტკიცებს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველს.

საბჭოთა ხალხმა, ისევე როგორც ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხმა, მხურვალედ მოიწონა საბჭოთა კავშირ-შვეციის კომუნიკეში გამოთქმული მზადყოფნა ორივე მხარისა „მხარი დაუჭირონ განუწყვეტელ მისწრაფებას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღწეულ იქნას პრაქტიკული შედეგები როგორც შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების რიცხვის საყოველთაო შემცირების მხრივ, ისე ატომური იარაღის აკრძალვისა და მისდამი კონტროლის, აგრეთვე ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების მხრივ“.

ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების, ატომგულის იარაღის დამნგრეველი ზემოქმედების საფრთხისაგან, ქანცგამწყვეტი გამალებული შეიარაღებისაგან კაცობრიობის ხსნის დიადი და კეთილშობილური მიზანი მოითხოვს, რომ გაერთიანდეს ყველა ქვეყნის ღონისძიებანი. საბჭოთა ადამიანები დადებით შეფასებას აძლევენ შვეციის მთავრობის მისწრაფებას — ხელი შეუწყოს თანამედროვეობის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრას.

ორივე მხარის განცხადება, რომ სასურველი და საჭიროა ურთიერთ სავაჭრო, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის, სპორტული გაცვლისა და ტურიზმის შემდგომი განვითარება, რასაც კომუნიკე შეიცავს, შეესაბამება საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების, ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების ინტერესებს.

ამ ბოლო დროს გაფართოდა მეცნიერული და კულტურული ურთიერთობა სსრ კავშირსა და შვეციას შორის. ამ ურთიერთობის გაფართოებას ორივე ქვეყანა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მოლაპარაკების მსვლელობაში მიღწეულია შეთანხმება, რომ უახლოეს ხანში განხორციელდეს კვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარი მუშაკების გაცვლა, პირველ რიგში მედიცინის, ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში, განხორციელდეს მეცნიერ მუშაკთა დაშვება შესაბამისი ქვეყნის არქივებსა და ბიბლიოთეკებში, გაფართოდეს ლიტერატურისა და გამოცემათა გაცვლა ორივე ქვეყნის სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებათა შორის. შვეციის მხარემ გამოთქვა სურვილი, რომ გამოგზავნოს ექსპერტების დელეგაცია სსრ კავშირში უმაღლესი განათლების მოწყობის შესასწავლად. საბჭოთა მხარემ გამოთქვა ინტერესი, რომ ანალოგიურად მოეწყოს შვეციაში ტექნიკური კადრების მომზადების შესწავლა. ეჭვი არ არის, რომ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს ორივე ხალხს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას და ურთიერთგაგების ზრდას.

საბჭოთა ხალხი ესწრაფვის შვედ ხალხთან მეგობრობის შემდგომ განვითარებას. „მტკიცედ მწამს, რომ არსებობს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის წანამძღვრები“, — თქვა შვეციის პრემიერ-მინისტრმა ტაგე ერლანდერმა თავის განცხადებაში, რომელიც გაკეთა სსრ კავშირში ჩამოსვლისას. სსრ კავშირისა და შვეციის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის წარმოებულმა მოლაპარაკებამ დაადასტურა ეს სამართლიანი რწმენა. ეს მოლაპარაკება ხელს შეუწყობს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებას, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

„პრავდის“ 5/IV მოწინავე.

მოსკოვიდან გაემგზავრა შვეციის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი

5 აპრილს მოსკოვიდან საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ, ხოლო შემდეგ სამშობლოში წასასვლელად გაემგზავრა შვეციის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი. მასთან ერთად გაემგზავრნენ შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ჰედლუნდი, შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების გამგე გ. იარინგი, პრემიერ-მინისტრის პირადი მდივანი უ. პალმე, შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტროს სავაჭრო განყოფილების მე-2 მდივანი გ. ლორენტცონი და პრესის საქმეთა სპეციალური წარმომადგენელი შვეციის პრემიერ-მინისტრთან ს. ფრიკიუსი.

ცენტრალურ აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო შვეციისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, პრემიერ-მინისტრის ტ. ერლანდერის გასაცილებლად მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ზ. საბუროვი, სსრ კავშირის მინისტრები ვ. გ. ბაკაევი, ნ. პ. დუდოროვი, ვ. პ. ელიუტინი, თ. გ. ლოგინოვი, გ. მ. ორლოვი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ა. ბორისოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგე მ. გ. გრიბანოვი, შვეციაში სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი ნ. მ. ლუნკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

შვეციის პრემიერ-მინისტრი გააცილეს სსრ კავშირში შვეციის საელჩოს თანამშრომლებმა, აგრეთვე სსრ კავშირში აკრედიტებულმა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა.

შვეციის პრემიერ-მინისტრის ტ. ერლანდერის გაცილების დროს აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა შვეციისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ტ. ერლანდერმა აეროდრომზე მიკროფონთან წარმოთქვა სიტყვა.

ტ. ერლანდერის სიტყვა

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

ვტოვებ რა მოსკოვს, მე მინდა გულითადი და გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ თქვენ და საბჭოთა კავშირის ყველა სხვა წარმომადგენელს დაუვიწყარი დღეებისათვის, რომლებიც ჩვენ გავატარეთ მოსკოვში, აგრეთვე განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც გაუწიეთ შვეციის მთელ დელეგაციას. საბჭოთა ხელმძღვანელებთან პირადად გაცნობა განსაკუთრებით ძვირფასი იყო ჩემთვის და შინაგან საქმეთა მინისტრის გ. ჰედლუნდისათვის.

მე მინდა ერთხელ კიდევ კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ჩვენს მოლაპარაკებას, როგორც ოფიციალურს, ისე კერძოს, ახასიათებდა მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთება. გამოვთქვამ იმედს, რომ ეს სულისკვეთება შემდეგშიც გაბატონებული იქნება ჩვენს ხალხებს შორის.

ერთხელ კიდევ გმადლობთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო!

• • •

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს შვეციის პრემიერ-მინისტრ ტ. ერლანდერს ახლავან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეციაში კ. კ. როდიონოვი, შვეციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში რ. სულმანი.

პრემიერ-მინისტრთან ერთად საბჭოთა კავშირში მოგზაურობს შვეციის პრესის წარმომადგენელთა ჯგუფი. (საკდესი).

თბილისის კოტონ-წინდის ფაბრიკის კოლექტივმა ფართოდ გააჩაღა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება და ახალ წარმატებებს აღწევს პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის ბრძოლაში. მაღალხარისხოვანი შრომით გამოირჩევა მოწინავე მქსოველი ლ. გუბანოვა, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 130-140 პროცენტით ასრულებს. **სურათზე:** ქვეოსტატი გ. მორჩილაძე ამოწმებს ლ. გუბანოვას მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საკავშირო საქარხანათაშორისო სკოლა რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). 4 აპრილს რუსთავში მუშაობას შეუდგა მეტალურგიულ ქარხნებში ტექნოლოგიისა და პროდუქციის ხარისხის კონტროლის ორგანიზაციის საკავშირო საქარხანათაშორისო სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს პერვოურალსკის მეტალურგიული ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ა. კოლჩინი.

სკოლაში მსმენელებად არის დნეპროპეტროვსკის, ნიკოპოლის, პერვოურალსკის, ვიკსის, ტაგანროგის, სუნგაიტისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნების 37 სპეციალისტი.

საქარხანათაშორისო სკოლა რუსთავში 7-8 დღეს იმუშავებს. სკოლის რუსთავში ჩამოსვლის მიზანია ჩვენებურ მეტალურგებს გააცნონ პერვოურალსკის, დნეპროპეტროვსკის, ნიკოპოლის და სუმგაიტის მეტალურგიულ ქარხნებში ტექნოლოგიისა და პროდუქციის ხარისხის კონტროლის საქმის მოწყობაში მიღებული გამოცდილება, გამოაგლინონ რუსთავის ქარხანაში ამ მხრივ არსებული ნაკლოვანებანი და დაეხმარონ მათი გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებანი, ამასთან რუსთავის მეტალურგთა გამოცდილებასაც გაეცნონ და განაზოგადონ იგი სხვა ქარხნებში.

* * *

ამავე დღეს რუსთავში ჩამოვიდა ბაქოს მილსაგლინავი ქარხნის კოლექტივის დელეგაცია, რომელიც მიზნად ისახავს შეაჯამოს რუსთავისა და ბაქოს მეტალურგთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა.

ბაქოელი მეტალურგები რუსთავში რამდენიმე დღეს დარჩებიან და გაეცნობიან მოწინავე მგლინავების გამოცდილებას.

ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა მ უ შ ა კ თ ა ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდა მუშაკთა რაიონულ შეკრებაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, პარტიის XX ყრილობის მიერ სოფლის მეურნეობის დარგში დასახული დიადი ამოცანების განხორციელების საქმეში ახალგაზრდობის როლის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანმა მტს-ის ზონაში ამხ. ა. თოიძემ.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ გასულ წელს ახალგაზრდობის ძალებით სეზონში მოიკრიფა 8.300 ტონამდე ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, 950 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილ იქნა საშუალოდ 25 ცენტნერი სიმინდი. ახალგაზრდა კოლმეურნეებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეშიც.

ნატანების საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ა. პატარავამ კოლმეურნეობის ახალგაზრდობის სახელით პირობა დადო, რომ წელს მოკრეფენ და სახელმწიფოს ჩაბარებენ 550 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს. გადიდებული ვალდებულებები იკისრეს კომკავშირელებმა ა. ცეცხლაძემ (მტს-ის ტრაქტორისტი), მ. ცერცვაძემ (შემოქმედის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე), ნ. ჩხაიძემ (ლათურის ჩაის სახელობის მეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი) და სხვებმა.

შეკრების მონაწილეებმა რაიონის კომკავშირელი ახალგაზრდობის სახელით ვალდებულება აიღეს წელს სახელმწიფოს ჩაბარონ 9 მილიონი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 100 ჰექტარი ნათესის თვითეულ ჰექტარზე მიღონ 50 ცენტნერი სიმინდი.

შრომაში წარჩინებულ 45 კომკავშირელს, რომლებმაც გასულ სამეურნეო წელს წარმატებები მოიპოვეს, კომკავშირის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ბალათურიამ გადასცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ფასიანი საჩუქრები, ქების სიგელები.

მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მახარაძელმა კომკავშირელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მოძმე უკრაინის ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის კომკავშირელები.

დარბაზობა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში

საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების მე-11 წლისთავის გამო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში დოქტორმა ფერენც მიუნიხმა 4 აპრილს დარბაზობა გამართა.

დარბაზობაზე იყვნენ ნ. ა. ბულგანინი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, სსრ კავშირის მინისტრები, საბჭოთა კავშირის მარშლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, მეცნიერები, მსახიობები, მწერლები, საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტები.

დარბაზობაზე იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია განათლების მინისტრის ტიბორ ერდეი-გრუზის მეთაურობით.

დაესწრნენ აგრეთვე მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან სსრ კავშირში, საელჩოებისა და მისიების თანამშრომლები.

დარბაზობაზე წარმოითქვა სიტყვები. (საკდესი).

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულება

წყალტუბოს რაიონმა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები შეასრულა: ხორცისა — 100,2 პროცენტით, რძისა — 158,5 პროცენტით, კვერცხისა — 151,9 პროცენტით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 1956 წლის 1 აპრილს უეცრად გარდაიცვალა პარტიის უძველესი წევრი, ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი ამხანაგი

გიორგი თევდორეს-ძე სტურუა.

წარმატებით ჩავატაროთ „ტყის დღე“

თ. ნატროშვილი,

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ბროშურად გამოიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ“ და „კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემისა და კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ“.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

... ...

კომუნისტური პარტია იმარჯვებდა და იმარჯვებს ლენინიზმისადმი ერთგულებით

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს ერთსულოვნად იწონებს ყველა პარტიული ორგანიზაცია, მთელი საბჭოთა ხალხი. ყველგან მოეწყო პარტიული აქტივის კრებები საქალაქო და რაიონულ პარტორგანიზაციებში, მთავრდება პირველადი პარტორგანიზაციების კრებები. კრებები ცხადყოფენ ჩვენი პარტიის მონოლითურ ერთიანობას, მის დარაზმულობას თავისი მებრძოლი შტაბის — ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. ეს კრებები გამოხატავენ ყველა კომუნისტის მტკიცე მისწრაფებას — იბრძოლონ ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ყოველდღე მოდის ახალი და ახალი სასიამოვნო ცნობები იმ შრომითს წარმატებებზე, რასაც აღწევენ მილიონობით საბჭოთა ადამიანები, რომლებიც სინამდვილედ აქცევენ ყრილობის მიერ დასახულ კომუნისტური მშენებლობის დიდებულ პროგრამას.

მასებს მიუძღვის კომუნისტების პარტია, რომელიც უსაზღვროდ ერთგულია ხალხისა, გამოხატავს მშრომელთა საარსებო, სასიცოცხლო ინტერესებს, განუყოფლად დაკავშირებულია ხალხთან. შთააგონებს და რაზმავს რა მილიონობით საბჭოთა ადამიანებს, კომუნისტური პარტია მტკიცე რწმენით მიუძღვის ჩვენს სამშობლოს ლენინური გზით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის რეზოლუციები ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ამომწურავი სიცხადით არის დახასიათებული იმ დიდად გამარჯვებათა წყაროები, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით:

„ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმატებითს საქმიანობას საფუძვლად ედო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებას შემოქმედებითი გამოყენება, კოლექტიური ხელმძღვანელობისა და შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპების უაღრესად მტკიცედ დაცვა, განუხრელად შესრულება ლენინის მითითებებისა ხალხთან ჩვენი პარტიის განუყრელი კავშირის შესახებ. მთელი ამ წლების მანძილზე პარტიას მაღლა ეჭირა უკვდავი ლენინის დიადი დროშა“.

განავითარა რა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება, ვ. ი. ლენინმა მარქსისტული მეცნიერება გაამდიდრა სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიით, დაამუშავა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ძირითადი პრობლემები. მარქსიზმ-ლენინიზმი შუამთა კლასის, ყველა ქვეყნის მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების მეცნიერული გამოხატულებაა. მარქსისტულ-ლენინური თეორია განუწყვეტლივ მდიდრდება საერთაშორისო შუამთა მოძრაობის ახალი ისტორიული გამოცდილებით, სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური შენებლობის გამოცდილებით.

ეყრდნობოდა რა მარქსისტულ თეორიას, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონებსა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებას, ლენინმა გიგანტური შუამობა გასწია შუამთა კლასის მებრძოლი პარტიის შესაქმნელად, შეიმუშავა მისი ორგანიზაციული პრინციპები, სტრატეგია და ტაქტიკა, აღზარდა პარტია მარქსიზმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, ურყევი რევოლუციური დისციპლინის სულისკვეთებით, დაუსახა მას სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ნათელი პერსპექტივები.

პროლეტარული მარქსისტული პარტიის წარმოშობა შეესაბამებოდა რევოლუციის წინაშე მდგომი ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს. მარქსიზმი, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია, რუსეთმა ჭეშმარიტად ტანჯვით მოიპოვა გაუგონარი წამებისა და მსხვერპლის, ხალხის საუკეთესო შვილთა გმირობისა და ძიების ნახევარსაუკუნოვანი ისტორიით.

მთელი ოქტომბრისწინა პერიოდის განმავლობაში ჩვენი პარტიის მოღვაწეობას გამოცდილების სიმდიდრით ბადალი არ მოეპოვებოდა მსოფლიოში, რადგან არც ერთ სხვა ქვეყანას ამ წლების მანძილზე დაახლოებითაც კი არ განუცდია ესოდენ ბევრი რამ რევოლუციური გამოცდილების, საზოგადოებრივი მოძრაობის განვითარების სიმწრაფისა და ფორმების სხვადასხვაობის თვალსაზრისით.

კიდევ უფრო მკაფიო და შინაარსით მდიდარი წარდგა მთელი კაცობრიობის წინაშე ჩვენი კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. გახდა რა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს მმართველი პარტია, იგი შეუდგა სოციალიზმის მშენებლობის მსოფლიო-ისტორიული ამოცანის გადაწყვეტას.

ლენინმა შეიმუშავა მეცნიერულად დაჯსტუთებული პროგრამა ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთის გადაქცევისა მოწინავე მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. კომუნისტურმა პარტიამ აღაფრთოვანა ხალხის მასები დიდი ისტორიული შემოქმედებისათვის, სოციალიზმის მშენებლობისათვის.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ სოციალიზმისა და კომუნიზმის ერთადერთი ძატერიალური საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ მსხვილი მრეწველობა, რომელსაც შეუძლია განახორციელოს აგრეთვე მიწათმოქმედების რეორგანიზაცია, და რომ „მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა ელექტროფიცირებული იქნება, როცა მრეწველობას, სოფლის მეურნეობას და ტრანსპორტს შეეუქმნით თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკურ ბაზას, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ საბოლოოდ“. ხელმძღვანელობს რა მეცნიერული თეორიით, პარტია სათავეში ჩაუდგა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლას, თავი მოუყარა მთავარ ძალებს მსხვილი მანქანური ინდუსტრიის უპირატესი განვითარებისათვის, წარმოების საშუალებათა წარმოებისათვის. ახორციელებდა რა ლენინურ კოოპერაციულ გეგმას, გამოიყენა რა სოციალისტური ინდუსტრიის სიმძლავრე, პარტიამ დარაზმა მილიონობით მშრომელი გლეხები სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მძლავრ აღმავლობას თან ახლდა სოციალისტური კულტურის აყვავება, საბჭოთა საზოგადოების სულიერი სიმდიდრის ზრდა.

გატეხა რა ტროცკისტთა, ზინოვიეველთა, მემარჯვენე ოპორტუნისტთა, ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა და კაპიტალიზმის რესტავრაციის სხვა მომხრეთა წინააღმდეგობა, პარტიამ საბჭოთა ხალხი მიიყვანა დიად გამარჯვებამდე — სოციალიზმის გამარჯვებამდე.

ლენინიზმის იდეები პარტიასა და ხალხს აღაფრთოვანებდნენ მშვიდობიანი მშენებლობის წლებში. სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა ადამიანებმა პარტიის ხელმძღვანელობით გმირულად დაიცვეს სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა და იხსნეს კაცობრიობა ფაშისტური დამონების საფრთხისაგან.

საბჭოთა ადამიანები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ლენინიზმის პრინციპებზე დაფუძნებულ კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ და სამეურნეო-ორგანიზატორულ მოღვაწეობას, მის პოლიტიკას აქვს უაღრესად მაღალი და უაღრესად კეთილშობილური მიზანი — კომუნისტური საზოგადოების აშენება, ხალხის მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

სახელოვანი, მაგრამ ძნელი იყო გზა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ პარტიის ხელმძღვანელობით პირველად გაკაფა იმ მწვერვალისაკენ, რომელზეც ახლა ვიმყოფებით და საიდანაც ჩვენ ნათლად ვხედავთ ახალ, ვრცელ ჰორიზონტებს, ვხედავთ ჩვენს სანუკვარ მიზანს — კომუნიზმს.

კომუნისტური პარტიის პოლიტიკის სისწორე, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი დროშისადმი მისი ერთგულება ყველა ჩვენი წარმატების წყაროა.

* * *

კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის მთელი საქმიანობა მუდამ გამსჭვალულია ღრმა რწმენით ხალხის — ისტორიის შემოქმედის, საზოგადოების ყველა მატერიალური და სულიერი სიმდიდრის შემქმნელის რევოლუციური ენერგიისადმი. ლენინიზმი გვასწავლის: მასების ცოცხალი შემოქმედება საზოგადოებრივი განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ცოცხალი, შემოქმედებითი სოციალიზმი თვით ხალხის მასების ქმნილებაა. და ყოველივე ეს, რასაც ჩვენმა სამშობლომ მიაღწია გასული ათეული წლების მანძილზე, ლენინიზმის ტრიუმფია, მთელი საბჭოთა ხალხის და მისი ნაცადი ხელმძღვანელის კომუნისტური პარტიის გმირულ ღონისძიებათა შედეგია.

უდიდესი ძალით გაისმის ჩვენს დროს ღრმად შთამაგონებელი სიტყვები ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა:

— ყველაფერი, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, გვიჩვენებს, რომ ჩვენ ვეყრდნობით მსოფლიოში ყველაზე საუცხოო ძალას — მუშებისა და გლეხების ძალას.

ამ საუცხოო ძალას სული შთაბერა კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც გაუხრელად ახორციელებს ლენინურ ანდერძს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ყველა ხალხის მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების შესახებ. პარტიის სწორი პოლიტიკის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში გამოიჭედა საბჭოთა საზოგადოების ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რომლის სიმტკიცე შემოწმებული და დადასტურებულია ისტორიით.

როგორც ცნობილია, პიროვნების კულტი, რომელიც ფართოდ გავრცელდა ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში, ამცირებდა ინიციატივისა და აქტივობის განვითარებას, ამცირებდა პარტიისა და ხალხის მასების როლს. ქმნიდა ბევრ დამატებით სიძნელეს ჩვენს შემოქმედებითს მუშაობაში, დიდი ზიანი მიაყენა საქმეს. პიროვნების კულტის გადმონაშთების წინააღმდეგ გადამწყვეტმა ბრძოლამ გამოიწვია ხალხის ფართო მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობა. პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მიერ პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენასა და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური მშენებლობის საქმისათვის. ახორციელებს რა პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციას, კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც თანმიმდევრულად აჩაღებს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, მთელი პირდაპირობით ამხილა სახელმწიფო აპარატის მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის ზოგიერთი დარგის ჩამორჩენის მიზეზები, დასახა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული გზები, მთელი სოციალისტური წარმოების შემდგომი მძლავრი აღმავლობის, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების გაიაფებისა და სრულყოფის გზები.

ლონისძიებანი, რომლებიც პარტიამ განახორციელა და რომლებსაც მხარი დაუჭერა მთელმა ხალხმა, საშუალებას იძლევიან უფრო სრულად გამოვიყენოთ სოციალისტური წყობილების წიაღში არსებული მძლავრი რეზერვები, იძლევიან შესამჩნევ დადებითს შედეგებს სამეურნეო მშენებლობაში, უზრუნველყოფენ საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას.

დიდებულ პერსპექტივებს სახავს ჩვენი ქვეყნის წინაშე მეექვსე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც სამუშაოთა ძასშტაბებითა და ტემპებით კიდევ უფრო გრანდიოზულია, ვიდრე წინა ხუთწლიანი გეგმები. საკმარისია ითქვას, რომ მეექვსე ხუთწლედის უკანასკნელ წელს სსრ კავშირში გამოშვებული იქნება სამჯერ მეტი საბრეწველო პროდუქცია, ვიდრე 1950 წელს, და ხუთჯერ და უფრო მეტი, ვიდრე ომის წინ. მარცვლეულის საერთო მოსავალმა უნდა მიაღწიოს 11 მილიარდ ფუთს წელიწადში. სოციალისტური ინდუსტრიის ახალი ცენტრები გაჩნდება ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში, მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები აშენდება ციმბირის დიდ მდინარეებზე. თავთავს გაიკეთებენ ყანები იმ მიწების ვეებერთელა სივრცეებზე, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში არ აძლევდნენ ადამიანს თავის ნაყოფს. საბჭოთა ადამიანებს, მათს მშვიდობიან ძრომას სულ უფრო მეტი ძალით გაუწვრთს სამსახურს ატომის გიგანტური ენერგია.

დიდ ლენინს უსაზღვროდ სწამდა სოციალისტური წყობილების, საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიის უძლეველი ძალები. ულრმესი რწმენით ამბობდა იგი, რომ სოციალიზმი გაიმარჯვებს კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში. ცხოვრებამ დაადასტურა ეს წინასწარხედვა. ამას ახლა ისინიც კი ვერ მალავენ, ვინც ათეული წლების მანძილზე ლანძღავდა ყოველივე საბჭოურს, ვინც ცდილობდა დეემცარებინა სოციალიზმის წარმატებანი. „10 ომისშემდგომ წელიწადში, — წერდა, მაგალითად, ამას წინათ ბრიტანიის გავლენიანი ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“, — რუსეთმა აღადგინა ის, რაც ომით იყო დანგრეული, და მიაღწია ახალ საწარმოო რეკორდებს მძიმე მრეწველობაში. მომავალ ხუთ წელიწადში რუსეთის გეგმები ითვალისწინებენ მრეწველობის გაფართოებას გაცილებით მეტი მასშტაბებით, ვიდრე შეერთებული შტატები ამავე ხუთ წელიწადში“.

მეექვსე ხუთწლედი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია იმ გზაზე, რომ გადაიჭრას სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა: დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

ეს ამოცანა შეიძლება გადაიჭრას და კიდევაც გადაიჭრება ისტორიულად უმოკლეს ვადებში. გადაიჭრება იმიტომ, რომ მთელ საბჭოთა ხალხს თავის სისხლხორცეულ საქმედ მიაჩნია პარტიის პოლიტიკა, მის მიერ დასახული გეგმები და გმირულად იბრძვის მათი განხორციელებისათვის. ხოლო ხალხი, რომელსაც ხელმძღვანელობს ისეთი პარტია, როგორიც არის ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია, გადალახავს თავის გზაზე ყველა დაბრკოლებასა და სიძნელეს და გადაწყვეტს კომუნისტური საზოგადოების აშენების მსოფლიო-ისტორიულ ამოცანებს.

* * *

უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა საბჭოთა ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში, სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებში, მტსებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ყველა საბჭოთა ადამიანი — კომუნისტი და უპარტიო — დიდი ენთუზიაზმით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, შეუდგა მათს შესწავლას, ცდილობს რაც შეიძლება ღრმად გაიგოს და გაიაზროს მათი შესანიშნავი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც შეიძლება უფრო წარმატებით გადაჭრას თავის უბანზე კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანები. პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები და მშრომელთა კრებები მიმდინარეობს კომუნისტებისა და უპარტიოების მაღალი აქტივობით და მოწმობს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო დარაზმულობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა, რომლებიც გამსჭვალულია მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეებით, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმა პარტია ცენტრალური კომიტეტის გარშემო, კიდევ უფრო განამტკიცა პარტიის კავშირი ხალხთან. გაეხატავდა რა ყველა მშრომელის ფიქრებსა და გრძნობებს, ლენინგრადის ქარხანა „ელექტროსილას“ მუშათა ერთ-ერთ კრებაზე ამწყობი ზეინკალი ამხ. ვ. გოროხოვი აღფრთოვანებით ამბობდა:

— პარტიის XX ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი გაჟღენთილია ღრმენითა და ძალით, აღსავსეა ზრუნვით ჩვენი სამშობლოს და საბჭოთა ხალხის შემდგომი აყვავებისათვის. პარტიას არა აქვს იმაზე უფრო დიდი მოვალეობა, ვიდრე დაუცხრომელი ზრუნვა საბჭოთა მშრომელი ადამიანის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის. და მე მინდა სულით და გულით ვთქვა: მისმინე, მშობლიურო პარტიავ!.. შენ ჩვენი სიამაყე, ჩვენი დიდება, ჩვენი იმედი ხარ! შენი ნაცადი ხელმძღვანელობით ვივლით წინ, ნათელი კომუნისტური მომავლისაკენ. პირობას გაძლევთ, რომ მთელ ჩვენს ძალებს მოვახმართ ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და კეთილდღეობის ახალ აღმავლობას!

ამას წინათ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც პარტიის უხუცეს წევრთა — რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილეთა დიდი ჯგუფი მიმართავდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. „ჩვენ განსაკუთრებული სიხარულით აღვნიშნავთ იმას, — ნათქვამია ამ წერილში, — თუ როგორ ახორციელებს პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც, როგორც ლენინი გვასწავლიდა, ყრილობებს შუა პერიოდებში პარტიის პრინციპების კოლექტიური დამცველი და განმმარტებელია, ბრძნულ ლენინურ პოლიტიკას, როგორ მიჰყავს ხალხი ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და კომუნიზმის მშენებლობაზე გადასვლის გზით, აქტიურად და წარმატებით იბრძვის მშვიდობისათვის, რასაც მხურვალედ უჭერენ მხარს მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები...

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენ გამოვთქვამთ ჩვენს უსაზღვრო სიყვარულს ჩვენი ბრძენი კომუნისტური პარტიისადმი, რომლის შესახებ ასე კარგად თქვა ლენინმა, რომ იგი „ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისია“. მას, ჩვენს მშობლიურ პარტიას, მიჰყავს საბჭოთა ხალხი ლენინური გზით კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ“.

სულ უფრო მკაფიოდ იჩენს თავს კეთილნაყოფიერი შედეგები იმ ღონისძიებებისა, რომლებსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს პარტიის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დემოკრატიული პრინციპების აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის, შიშველი ადმინისტრირებისა და ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდების წინააღმდეგ, ნაკლოვანებათა მიჩქმალვისა და სინამდვილის შელამაზების წინააღმდეგ, ჩინოვნიკური განცხრომისა და თვითდამშვიდების წინააღმდეგ, საქმიანი, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებისათვის. ეს უზრუნველყოფს ფართო პარტიული მასების პოლიტიკური აქტივობის გაძლიერებას, აჩაღებს საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს ინიციატივასა და ენერგიას, ხელს უწყობს ნოვატორობის გრძნობის ყოველი ღონისძიების განვითარებას, მნიშვნელოვნად ადიდებს თვითეული კომუნისტის, თვითეული საბჭოთა ადამიანის პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის.

კომუნისტები, როგორც ამას გვიჩვენებს ამჟამად მიმდინარე პარტიული აქტივები და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები, ფართო შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე გაბედულად და პრინციპულად აკრიტიკებენ იმათ, ვისაც ხელი არ აუღია მუშაობის ბიუროკრატიულ მეთოდებზე, ამხილებენ არსებულ ნაკლოვანებებს, სახავენ მათი რაც შეიძლება მალე აღმოფხვრის კონკრეტულ გზებსა და საშუალებებს, რათა ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესდეს ჩვენი საქმიანობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, გაძლიერდეს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი როლი კომუნიზმისათვის ბრძოლაში. ამ პრინციპულ და გაბედულ კრიტიკას, რომელიც გამსჭვალულია ბოლშევიკური პარტიულობის სულისკვეთებით, ჩვენი პარტიის დიადი საქმისათვის ზრუნვით, ყოველი ღონისძიებით უნდა დავუჭიროთ მხარი და განვავითაროთ.

ამასთან არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ ფაქტებს, როდესაც ცალკეული გახრწნილი ელემენტები ცდილობენ კრიტიკა და თვითკრიტიკა გამოიყენონ ყოველგვარი ცილისწაებლური მონაჭორისა და ანტიპარტიული მტკიცებისათვის. მაგალითად, ერთ-ერთი სამეცნიერო ლაბორატორიის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე თანამშრომლებმა ავალოვმა, ორლოვმა, ნესტეროვმა და შჩედრინმა შინაპარტიული დემოკრატია გამოიყენეს ცილისმწამებლური ხასიათის გამოსვლებისათვის, რომლებიც მიმართული იყო პარტიის პოლიტიკის, მისი ლენინური საფუძვლების წინააღმდეგ. პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებმა ვერ გამოიჩინეს ჯეროვანი ბოლშევიკური შეურიგებლობა ამ ანტიპარტიული გამოხდომებისადმი. მოსკოვის საოლქო სტატისტიკური სამმართველოს პარტიულ კრებაზე პროვოკაციული, ანტიპარტიული განცხადებებით გამოვიდა ლ. იაროშენკო. ასეთი გამოსვლები არსებითად სხვისი ჰანგების გადამღერებაა, უცხოეთის რეაქციული პროპაგანდის გაცვეთილი ცილისმწამებლური ჭორების გამეორებაა.

ცალკეული გახრწნილი ელემენტები პიროვნების კულტის დაგმობის სახით ცდილობენ ეჭვქვეშ დააყენონ პარტიის პოლიტიკის სისწორე. საბჭოთა ქვეყნის ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობა აბათილებს ამგვარ მონაჭორებს, აქარწყლებს ამგვარ საძაგელ ცდებს.

პარტიის პოლიტიკა მისი ისტორიის ყველა პერიოდში იყო და კვლავ არის ლენინური პოლიტიკა. ეს პოლიტიკა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავეს სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის მსვლელობაში, იგი განასახიერებს პარტიის კოლექტიურ სიბრძნეს. მისი მძლავრი სასიცოცხლო ძალა შემოწმებულია ჩვენი ხალხის ათეული წლების დიადი შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილებით. საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული წარმატებანი მკაფიოდ და დამაჯერებლად ადასტურებენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკის სისწორეს. ის ფაქტი, რომ ჩვენმა პარტიამ გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღა პარტიული და სახელმწიფოებრივი შუამობის, სამეურნეო მშენებლობის ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, პიროვნების კულტის შედეგების დაძლევისათვის, ცხადყოფს პარტიის დიად ძალას, მის ურყევ ერთგულებას ლენინიზმისადმი. კომუნისტური პარტია ახლა უფრო ერთიანია, ვიდრე ოდესმე, იგი მჭიდროდ დარაზმულია თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

მთელი ჩვენი პარტია ერთსულოვნად იწონებს ბრძნულ ლენინურ პოლიტიკას. მაგრამ ჯერ კიდევ არის ფაქტები, როდესაც ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია გვერდს უვლის ობიექტურ, დახავსებულ განწყობილებებს, რასაც ცალკეული პირები იჩენენ, არ ამხილებს მათ, ურიგდება ლიბერალიზმს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არაპარტიული განცხადებებით გამოდიან. მაგალითად, არასწორი, არასებითად დემაგოგიური იყო კომუნისტ ტერნოვსკის გამოსვლა ქალაქ ჩკალოვის ძერჟინსკის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე. მიუხედავად ამისა, კრების მონაწილეებმა, მათ შორის ჩკალოვის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრმა ამხ. ეუკოვმა, რომელიც კრებას ეხურეთოდა, საკადრისი პასუხი არ გასცეს ამ გამოსვლას.

პარტიული ორგანიზაციები გადაჭრით უნდა დაუწყონ ბრძოლა კომუნისტური პარტიის პოლიტიკისაგან, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან ყოველგვარი გადახვევის წინააღმდეგ. თვითეულ კომუნისტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ფარგლებში ეძლევა პარტიული პოლიტიკის ყველა საკითხის განხილვის თავისუფლება. მაგრამ პარტიას არასოდეს არ შეუწყნარებია და არც შეწყნარებს წვრილბურჟუაზიულ თავაშვებულობას და მით უფრო ანტიპარტიულ გამოსვლებს თავის წრეში, თუნდაც ეს ერთეული შემთხვევები იყოს; პარტია ვერ დაუშვებს, რომ საკითხების განხილვის თავისუფლება გაიგონ, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისადმი უცხო შეხედულებათა პროპაგანდის თავისუფლება, რადგან ეს ეწინააღმდეგება პარტიის წესდების დებულებებს, მის პრინციპებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში აღნიშნულია: „ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს კვლავაც თვალისჩინივით გაუფრთხილდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდეს, შემოქმედებითად განავითაროს იგი კომუნიზმისათვის პრაქტიკული ბრძოლის პროცესში, ახალი ისტორიული გამოცდილებისა და ცოცხალი სინამდვილის ფაქტების განზოგადების საფუძველზე. ამასთანავე უნდა წარმოებდეს შეუნელებელი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ“.

კომუნისტური პარტია თანამოაზრე კომუნისტთა ნებაყოფლობითი მებრძოლი კავშირია. ყველა, ვინც პარტიაში შევიდა, მოწოდებულია იყოს თავდადებული მებრძოლი მისი პრინციპებისათვის, მისი იდეებისათვის, მისი პოლიტიკისათვის. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა აღზარდონ ყველა კომუნისტი კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების სულისკვეთებით, მარქსისტულ-ლენინური თეორიის სულისკვეთებით.

მარქსიზმ-ლენინიზმი საბჭოთა ხალხის დროშა და გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია. მეცნიერული კომუნიზმის იდეები მძლავრ კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ მსოფლიო ისტორიის მიმდინარეობაზე, მთელი კაცობრიობის ბედზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულ კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს მტკიცე რწმენით მიჰყავთ საბჭოთა ხალხი ერთადერთი სწორი ლენინური გზით — კომუნიზმისაკენ.

„პრავდის“ 5/IV სარედაქციო სტატია.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის შორის სასაქონლო კრედიტის შესახებ შეთანხმებისა და ეკონომიკურ-ტექნიკურ სამეცნიერო კავშირის მიერ სესხის მიცემის შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია

1956 წლის 29 მარტის ბრძანებულებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოახდინა რატიფიკაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის შეთანხმებისა სასაქონლო კრედიტის შესახებ და შეთანხმებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიერ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისთვის სესხის მიცემის შესახებ, რომლებსაც ხელი მოაწერეს 1956 წლის 2 თებერვალს მოსკოვში და რომლებიც დაამტკიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

აღნიშნულ შეთანხმებათა შესაბამისად იუგოსლავიას სესხი ეძლევა თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით ან ოქროთი 30 მილიონი დოლარის რაოდენობით წლიური 2 პროცენტით, 10 წელიწადში დაფარვის ვადით; სასაქონლო კრედიტი ეძლევა 54 მილიონი დოლარის რაოდენობით იმ საქონლის ასანაზღაურებლად, რომელსაც სსრ კავშირი მიაწვდის 1956-1958 წლებში. ეს კრედიტი იუგოსლავიამ უნდა დაფაროს 10 წლის განმავლობაში.

ფეხსაცმელი გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის

ლენინგრადი, 3 აპრილი. (საკადესი). გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის ფაბრიკა „ვოსხოდმა“ დაიწყო ნატურალური კაუჩუკის ლანჩიანი დაბალქუსლიანი ტუფლის გამოშვება. მოდელიერებმა ა. ა. დრაზნემ, ე. ნ დიმელერმა და პ. ა. კუვშინოვმა შეიმუშავეს ეგრეთწოდებული ქუჩის ფეხსაცმლის ახალი ნიმუშები. ეს არის მოხერხებული და გამძლე დახურული ნახევარწაღა და ტუფლი დაღარული ლანჩით და ფიგურული რანტით. იგი მზადდება მაღალხარისხოვანი შევროსაგან. შეიქმნა მსუბუქი საზაფხულო ფეხსაცმლის ახალი მოდელები — პლაქის ტუფლი, რომელიც გაკეთებულია ღია ფერადი ტყავის წნულისაგან, მაშია, კაცის სანდალეტი, სალამას ჭრილი ტუფლი ლაქის, ზამოისა და თეთრი შევროსაგან.

პროდუქციის ასორტიმენტი გაფართოვდა ფაბრიკა „სკოროხოდში“. აქ აითვისეს შემსუბუქებული ჭდეებიანი რეზინის საგაზაფხულო ფეხსაცმლის, მამაკაცისა და ქალის ტყავისლანჩიანი მოდელის რანტიანი ტუფლის, ბავშვთა ღია ტუფლისა და სანდალეტის მასობრივი გამოშვება.

წლის პირველ ნახევარში ქალაქის საწარმოები გამოუშვებენ გაზაფხულ-ზაფხულის ასორტიმენტის 8 მილიონ წყვილზე მეტ ფეხსაცმელს.

გაუმჯობესებული ქვანახშირის კომბაინი

ყარაგანდა, 3 აპრილი. (საკადესი). ყარაგანდის ქვანახშირის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებმა შექმნეს ახალი ტიპის ქვანახშირის კომბაინი. მანქანა არ ტოვებს ქვანახშირის ქვედა წყებას შუათანა სიმძლავრის ფენებში, მისი ბარი (მჭრელი ნაწილი) უფრო მყარია მუშაობაში.

იმ უბნის მექანიზატორებმა, სადაც ახალ კომბაინს იყენებენ, შეაჯამეს მარტის მუშაობის შედეგები. პირველ 23 დღეში ამოღებულია 11.040 ტონა ქვანახშირი. კომბაინის საშუალო თვიური წარმადობა, რასაც კომბინატ „კარაგანდაუგოლის“ საწარმოებში მიაღწიეს, მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია. ცალკეულ დღეებში ივანე თედოტოვისა და ვიქტორ ვულფის ბრიგადებმა თვითეულმა ერთნახევარი ცვლის დავალება შეასრულეს.

ჩაება რა საპირველმაისო შეჯ

საღლეისო თემაზე

დროზე. მაღალხარისხოვნად ჩავაბარეთ შაქრის ჭარხლის თესვა

სკკპ XX ყრილობამ ჩვენი ქვეყნის მეკარხლეებს დაუსახა პასუხსაგები ამოცანა — მეექვსე ხუთწლედში მკვეთრად გაადიდონ შაქრის ჭარხლის ფართობები და მისი მოსავლიანობა. 1960 წელს 1955 წელთან შედარებით ამ კულტურის საერთო პროდუქცია უნდა გაიზარდოს 154 პროცენტით, უნდა უზრუნველყოთ შაქრის ჭარხლის გადიდებული შაქრიანობის მქონე ჯიშების დაჩქარებული გამოყვანა და წარმოებაში დანერგვა.

ამ მიზნით პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს უკრაინის სსრ მოწინავე მეკარხლეებმა. ამ დღეებში ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნდა უკრაინის სსრ მოწინავე მეკარხლეთა რესპუბლიკური თათბირის მიმართვა სსრ კავშირის მეკარხლეებისადმი. ისინი მოუწოდებენ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის.

უკრაინელ მეკარხლეთა ძვირფას ინიციატივას ერთსულოვნად უნდა დავუჭიროთ მხარი.

ჩვენს მეკარხლეებს შაქრის ჭარხლის მოყვანის კარგი გამოცდილება აქვთ. შარშან გორის რაიონმა 1.200 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 387,7 ცენტნერი ჭარხალი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 700 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 272 ცენტნერი. წელს მათ გადიდებული ვალდებულებანი აიღეს. გორის რაიონის მეკარხლეები ითვალისწინებენ სახელმწიფოს ჩაბარონ 47.000 ცენტნერით მეტი შაქრის ჭარხალი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეკარხლეებმა აიღეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარონ 12.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, კასპელებმა პირობა დადეს შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმა 6.000 ცენტნერის გადაჭარბებით შეასრულონ.

შარშანდელი მაგალითები მოწმობენ, რომ მეკარხლეობის ყველა კოლმეურნეობას შეუძლია მიიღოს უხვი მოსავალი. მაგრამ შუალედურად როდი იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს. მაგალითად, ქარელის რაიონის სოფელ კბილიჯვრის კოლმეურნეობამ 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 332 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, მაშინ როცა ასეთივე პირობების მქონე ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 70 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 461 ცენტნერი მოსავალი მიიღო.

ამჟამად მთავარია შაქრის ჭარხლის თესვის ტემპის გადაჭრით გაძლიერება. გორის, ხაშურის, კასპის, ქარელის რაიონების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოვალენი არიან მეელი ძალები დარაზმონ შაქრის ჭარხლის თესვის უახლოეს დღეებში დასამთავრებლად. უნდა გავაძლიეროთ სათესი მანქანების წარმადობა. ამ კულტურის თესვის აგროვადები იწურება, ხოლო თესვის ტემპი კვლავ დაბალია. თუ ახლავე არ მივიღეთ გადამჭრელი ზომები ჩამორჩენის გამოსწორებისათვის, თესვა გაჭიანურდება, რაც ცუდ გავლენას მოახდენს მოსავლიანობაზე.

შაქრის ჭარხლის აღმოცენების შემდეგ მთავარი საზრუნავია ის, რომ ერთი დღოთაც არ დავაგვიანოთ ნათესების გამოხშირვა. აქედანვე უნდა მოვემზადოთ მექანიზებული კულტივაციის ჩატარებისათვის. ფართოდ გამოვიყენოთ მოწინავე მეკარხლეთა მდიდარი გამოცდილება და წელს მთელ ფართობებზე უზრუნველყოთ შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღება.

მეცხოველეები — საპატიო წიგნში

ცხაკაია. (საკ. კორ.). ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ყოველ წელს ასრულებს მეცხოველობის პროდუქტიულობის გეგმებს. შარშანაც აქ გადაჭარბეს რძის მოტების წლიურ დავალებას. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით რესპუბლიკურ საპატიო წიგნში შეტანილი არიან ამ კოლმეურნეობის ფერმის გამგე ბ. თოფურია, ზოოტექნიკოსი მ. ჯოღია, მწველავი მ. ბელქანია.

პარტიული ცხოვრება

განუწყვეტლივ ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებების ფართო ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევა აგიტატორი ა. კობეშავიძე. ამას წინათ ნორმალის საამქროს დამამთავრებელი უბნის მუშებთან მან მოაწყო საუბარი შრომის ნაყოფიერების ზრდის შესახებ. აგიტატორმა თავისი საუბარი დაუკავშირა საამქროსა და უბნის საწარმოო ცხოვრებას, ანალიზი გაუკეთა მოპრავებულ ძღწევებს, ილაპარაკა ნაკლოვანებებზე და მათი გამოსწორების ღონისძიებებზე.

საუბარში აქტიური მონაწილეობა მიიღეს უბნის მუშებმა, რომლებმაც მრავალი კრიტიკული შენიშვნა გააკეთეს და მთელი რიგი საქმიანი წინადადებანი წამოაყენეს. ვბეჭდავთ ამ საუბრის მოკლე შინაარსს.

* * *

— ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის შრომელები. ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულია შრომის ნაყოფიერების სერიოზული გადიდება, როგორც წარმოების ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების გადამწყვეტი პირობა.

მძლავრი ინდუსტრიული ბაზა, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესი, კვალიფიციური მუშებისა და სპეციალისტების დიდი არმიის არსებობა უდიდეს შესაძლებლობებს ქმნის შრომის ნაყოფიერების შემდგომი განუხრელი ზრდისათვის ჩვენს ქვეყანაში.

ახალი ხუთწლედის მანძილზე შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზრდება სულ ცოტა 50 პროცენტით, რაც უმთავრესად განხორციელდება მრეწველობის ტექნიკური შეიარაღებისა და მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის, საწარმოთა სპეციალიზაციის ფართოდ განვითარების, შრომის ორგანიზაციის ძირეული გაუმჯობესებისა და დამხმარე სამუშაოებზე შრომის ხარჯვის შემცირების გზით.

საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ ახსოვთ ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ კომუნისტური წყობილების გამარჯვება კაპიტალისტურ წყობილებაზე შეიძლება მიღწეულ იქნას საბოლოო ანგარიშით შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერების შედეგად.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მძლავრი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია. ყოველდღიურად ძლიერდება სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდის მისაღწევად. ეს შესანიშნავი შეჯიბრება სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საავტომობილო ქარხანაში, კერძოდ, ჩვენს საამქროში. ამის შედეგად ნორმალის საამქრომ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 106 პროცენტით გაანაღდა. ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით გაიზარდა 20 პროცენტით. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულა პირველი კვარტალის საწარმოო დავალება ჩვენმა დამამთავრებელმა უბანმაც.

აგიტატორის საუბარი

შემდეგ აგიტატორი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიეს აღნიშნულ წარმატებებს და რა არის საჭირო მომავალში შრომის ნაყოფიერების კიდევ უფრო ამაღლებისათვის.

— როგორც ცნობილია, — განაგრძო ამხ. კობეშავიძემ, — შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთი პირობაა ტექნიკურ გაუმჯობესებათა განხორციელება, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ფართოდ განვითარება. ჩვენს უბანზე მრავალი რაციონალიზატორული წინადადება იქნა დანერგული. ძარის უკანა ნაწილის სახელურის მექანიკური დამუშავებისას სამარჯვეში მხოლოდ ერთი დეტალი მაგრდებოდა. ტექნიკოსმა ო. ნიკაბაძემ შეცვალა სამარჯვის კონსტრუქცია, რის შედეგად ახლა მასში ერთდროულად ორი დეტალი მაგრდება. ამან საშუალება მოგვცა ერთიორად გაგვედიდებინა ამ დეტალების გამოშვება. ნოვატორული ღონისძიებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საზეთე ტუმბოს კბილანების დამუშავების ტექნოლოგია, რამაც გაზარდა შრომის ნაყოფიერება და წარმოებას მისცა 5.600 მანეთი ეკონომია. სიახლე იქნა შეტანილი საჭის ერთ-ერთი ნაწილის გასაღარავი სამარჯვების კონსტრუქციაში. ამის შედეგია ის, რომ, თუ წინათ დღეში უბანი 250 ნაწილს ღარავდა, ამჟამად 500-550-ს ღარავს.

ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლა ერთი წუთითაც არ უნდა შეწყვეტილოთ. წელს ჩვენ დავდგამთ ახალ აგრეგატულ ჩარხს, რომელიც დიდად დაეხმარებს ავტომანქანის წინა და უკანა რესორის თითების დამუშავების პროცესს. მისი საშუალებით ერთდროულად განხორციელდება გაღარვის, გაბურღვისა და ხრახნის მოჭრის ოპერაციები.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ჩვენს უბანზე სპეციფიკურ საკითხს წარმოადგენს მჭრელი და დამხმარე იარაღების ტექნიკური მდგომარეობა. ერთი და ორი შემთხვევა როდია, როცა მუშაობა გვიფერხდება საიარაღო საამქროდან მიღებული არასრულფასოვანი მჭრელი იარაღების გამო. მაგრამ არ შეიძლება ყველაფერი საიარაღო საამქროს დავაბრალოთ. მჭრელი იარაღების მუშაობის ხანგრძლივობა ბევრად დამოკიდებულია მათს სწორ ექსპლოატაციაზე. თვითეულმა მუშამ ზედმიწევნით უნდა იცოდეს, რა დროა საჭირო იარაღის ალესვიდან ალესვამდე. იგი კარგად უნდა ფლობდეს ჩარხს, იცოდეს, ბრუნვის რა სიჩქარე განავითაროს დასამუშავებელი დეტალების მიხედვით და სხვ.

მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება და მოწინავეთა გამოცდილების გავრცელება შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი წყაროა. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორ აიმაღლა კვალიფიკაცია გამოცდილი ოსტატების დახმარებით მღარავმა მ. მიგინეიშვილმა, რომელიც საწარმოო დავალებებს 200 პროცენტით ასრულებს. იგი ახლა სხვებს უზიარებს თავის გამოცდილებას და ისეთსავე უნარს ამჟღავნებს ახალგაზრდა მუშების დაოსტატებაში, როგორსაც სპეციალობის შესწავლის დროს თვითონ იჩენდა.

შრომის დისციპლინის განმტკიცება წარმატების მოპოვების, შრომის ნაყოფიერების ზრდის საწინდარია. მაგრამ მოწინავე ადამიანებთან ერთად გვყავს ჩამორჩენილი, ცუღლუტი, ზარმაცი ადამიანებიც. ასეთებს შორის იყო მ. ჟორჟოლიანი. იგი მოხსნილია სამუშაოდან. მაგრამ ეს არ არის გამოსავალი. ჩვენი ამოცანაა ვიმუშაოთ ჩამორჩენილ ადამიანებთან, ავამაღლოთ მათი შეგნებულობა, განვამტკიცოთ დისციპლინა. თუ რა ძალა აქვს აღმზრდელობითს მუშაობას, ჩვენი საამქროს სინამდვილიდანაც ვიცით. გახსოვთ, რომ მღარავი ნ. ზახარჩენკო წინათ არღვევდა შრომის დისციპლინას, ჩამორჩებოდა გეგმის შესრულებაში. ამჟამად იგი მოწინავეთა რიგებში დგას, ყოველდღიურ დავალებებს 180-200 პროცენტით ასრულებს. ყოველივე ეს კოლექტივის, ამხანაგების ზემოქმედების შედეგია.

საუბრის დროს მუშებმა მრავალი საყურადღებო საკითხი დააყენეს აგიტატორის წინაშე უბნის ცხოვრების მტკივნეული საკითხების მოსაგვარებლად. მაგალითად, დ. კვერნაძემ უსაყვედურა საამქროს ლაბორატორიის მუშაკებს, რომლებიც ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ გამაცივებელი სითხის ხარისხისათვის. უხარისხო სითხე დეტალების დაჟანგვის საშიშროებას იწვევს. ა. ხერციძის სიტყვიდან გამოირკვა, რომ საწყობიდან უბანზე ზოგჯერ 1-2 საათის დაგვიანებით გამოაქვთ დასამუშავებელი დეტალები და ა. შ.

აგიტატორმა ბლოკნოტში ჩაიწერა შენიშვნები და აღუთქვა მსმენელებს, რომ მათს წინადადებებს საამქროს ხელმძღვანელობის წინაშე დააყენებს.

* * *

ამბროსი კობეშავიძე არც ისე დიდი ხანია, რაც აგიტატორად მუშაობს, მაგრამ მისთვის მინდობილ საქმეს კარგად ასრულებს. იგი არა მარტო სიტყვით, არამედ პირადი მაგალითითაც რაზმავს შრომელებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის საბრძოლველად.

ქ. წულუკიძის პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ა. კობეშავიძე მუშაობას შეუდგა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. ამჟამად იგი ამწყობად მუშაობს და საწარმოო დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. მან მიმდინარე წლის იანვრის გეგმა 369 პროცენტით შეასრულა, თებერვლისა — 421, ხოლო მარტისა — 250 პროცენტით.

ა. კობეშავიძის წარმატება საგიტაციო საქმიანობაში იმის შედეგია, რომ მას უნარი შესწევს პრაქტიკულად დაგვანახვოს, თუ როგორ უნდა მუშაობა და ბრძოლა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის.

გ. ვეფისაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ახალი სამკურნალო მინერალური წყალი

ამ ორიოდე წლის წინათ თბილისის 26 კომისრის რაიონში ბურღვის შედეგად 1.400 მეტრ სიღრმეზე აღმოჩენილ იქნა სრულიად ახალი ტიპის სამკურნალო მინერალური წყალი, რომელიც თავისი ფიზიკური და ქიმიური თვისებებით დიდად განსხვავდება თბილისში არსებული სამკურნალო მინერალური წყლებისაგან.

როგორც საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. გოგიბედაშვილმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, ახალი სამკურნალო მინერალური წყალი ეკუთვნის ქლორიდულ-ნატრიუმ-კალციუმიან ტიპს. მისი ფიზიკური და ქიმიური თვისებების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ამ წყალში მარილების რაოდენობა დიდია (4,5 გრამი ერთ ლიტრში), გოგირდი თითქმის არ მოიპოვება, მაშინ როდესაც ქლორიდულ-ნატრიუმის რაოდენობა მეტად სპარბობს. აღნიშნული წყლის დამახასიათებელ თვისებად ჩითვლება გაზ მეთანისა და აზოტის დიდი რაოდენობა. ასეთი ტიპის მინერალური წყალი საქართველოში თითქმის არ მოიპოვება, თუ არ ჩავთვლით ნასაკრალის ცნობილ სამკურნალო მინერალურ წყალს, რომლის ტემპერატურა გაცილებით დაბალია. სისტემატური შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ამ სამკურნალო მინერალური წყლის ფიზიკური და ქიმიური თვისებები ცვლილებებს არ განიცდის.

კლინიკურ დაკვირვებათა შედეგად, რასაც აწარმოებენ ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები, დადასტურდა წყლის თერაპიული ეფექტიანობა. მას იყენებენ ისეთ დაავადებათა სამკურნალოდ, როგორიც არის ძვალ-სახსართა სხვადასხვა სახის ქრონიკული ანთება, პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადება (იშიასი, რადიკულიტი, პლეკსიტები), კუნთების მყესების ანთება, გულის სისხლძარღვთა სისტემის, ჰიპერტონული, ქრონიკული გინეკოლოგიური, კანის დაავადებების დროს.

ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები აწარმოებენ დაკვირვებებს ზემოჩამოთვლილ დაავადებათა მკურნალობაზე. ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ავადმყოფთა განკურნების ბევრი მაგალითი. მოქალაქე ტ. მ-ძე წლობით უჩიოდა წელისა და ფეხის ტკივილს. ბოლოს სიარულიც გაუძნელდა და ლოგინად ჩავარდა. ახალი სამკურნალო წყლის 15 აბაზანის მიღების შემდეგ ავადმყოფი სრულიად განიკურნა, შეძლო თავისუფლად სიარული. დიასახლის დ. დ-შვილს დიდხანს ჰქონდა ზედა და ქვედა კიდურების შესივება, დადიოდა ჯოხით. 15 აბაზანის მიღების შემდეგ მან შეძლო უჯოხოდ სიარული. დიასახლისი თ. ჩ-ძე წლების მანძილზე დაავადებული იყო ჰიპერტონიით, უჩიოდა თავის ტკივილს, ყურებში შხუილს, გულის ფრიალს, უძილობას, ჰქონდა მაღალი წნევა. აბაზანების მიღების შემდეგ მისი მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, სისხლის წნევა საგრძნობლად დაეცა.

ახალი მინერალური სამკურნალო წყლის ამოსვლის ადგილას უკვე მოწყობილია 13 აბაზანა, მალე დამატებით ამუშავდება კიდევ 6. ამჟამად მიმდინარეობს კეთილმოწყობის და აბაზანების გაფართოების სამუშაოები.

* * *

სურათზე (მარცხნიდან): ექიმი ა. კეკელია და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მ. მელიქიშვილი აბაზანის მიღების წინ სისხლის წნევას უზომავენ ერთ-ერთ ავადმყოფს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ № 9

...თვითმფრინავი ნელა ეშვება თბილისის აეროდრომზე. საქართველოს საზოგადოებრიობა გულმოდგინედ ხვდება საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფ თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს, საფრანგეთის რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტს ვენსან ორიოლს — ასე იწყება ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „ქართული ფილმის“ ახალი კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო № 9“ (რეჟისორი ო. ჭიაურელი).

ეკრანზე მოჩანს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის საამქრო. მაყურებელი ხედავს ფაბრიკის ძველი და ახალი ტიპის საქსოვ მანქანებს, მოწინავე მუშა ქალებს.

თოვლით დაფარული აბასთუმნის გზა. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია. აქ ამ ცოტა ხნის წინათ დადგეს ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი ტელესკოპი, რომლის მართვა მთლიანად მექანიზებულია. მაყურებელი ეცნობა ტელესკოპის მუშაობას. შემდეგ ეკრანზე მოჩანს წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის ათასობით სული ცხვარი, რომლებსაც გულმოდგინედ უვლიან კოლმეურნე მწყემსები.

თბილისი. მუსიკალური ინსტრუმენტების მაღაზია. მყიდველები არჩევენ პატეფონის ფირფიტებს. ნაჩვენებია ფირფიტების დამზადების ტექნიკა.

ჟურნალში გადაღებულია პოეტ ი. გრიშაშვილის პირადი ბიბლიოთეკა, მაგიდის ჩოგბურთში შეჯიბრება ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში და სხვ.

სოციალისტური საკუთრების დაცვასთან ბრძოლა ჩვენი საერთო საქმეა

საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება სსრ კავშირის ეკონომიური საფუძველია. სსრ კავშირის კონსტიტუცია ავალებს საბჭოთა მოქალაქეებს გაუფრთხილდნენ მას და გაამტკიცონ. იგი როგორც საბჭოთა წყობილების წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელი საფუძველი, როგორც საბჭოთა ხალხის სიმდიდრისა და ძლიერების, შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო.

ამჟამად, როდესაც ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია გიგანტური მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვასა და მის შემდგომ განმტკიცებას სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლას, საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისა და განმტკიცების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენა საყოველთაოსახალხო აღრიცხვა და წარმოებისა და განაწილებისადმი კონტროლი, მშრომელთა მაღალი შეგნებულობა, ორგანიზებულობა და დისციპლინა, მკაცრი, ულმობელი ბრძოლა მავნებლებთან, სპეკულანტებთან, მოქალაქეებთან.

ჯერ კიდევ 1921 წელს ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში აუცილებლად უნდა გატარდეს წინასწარი ღონისძიებები, რომლებიც გამორიცხავენ გაფლანგვა-დატაცების შესაძლებლობას. ლენინი თვლიდა, რომ პასუხისგებაში აუცილებლად უნდა იქნან მიცემულნი არა მარტო დამტაცებლები, არამედ თანამდებობის ის პირებიც, რომლებიც ველა უწყობენ საზოგადოებრივი დოვლათის დატაცებას.

ზოგიერთი სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელი დღემდე არ ასრულებს მისთვის კანონით დაკისრებულ მოვალეობას იმ ქონების დაცვაცვად, რაც მას აბარია, გულგრილობასა და უპასუხისმგებლობას იჩენს მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაკთა შერჩევაში, არღვევს კონტროლისა და აღრიცხვის პრინციპებს.

თავმინებებულობა და უყაირათობა საკონტროლო-სარევიზიო მუშაობაში ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგია სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა „საქმიანობისათვის“. ამის მკაფიო მაგალითია სოხუმის რაიონული მრეწველობის კომბინატის საშენ მასალათა ქარხნის მუშაკების ს. ქუჩუბერიას, ვ. ჩაიკოს და სხვების საქმე. ქარხანაში თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობით ს. ქუჩუბერიამ და მისმა დამქაშებმა რამდენიმე წლის მანძილზე დიდი ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს. დამნაშავეები თავის დროზე ვერ იყვნენ მხილებულნი, რადგან როგორც აღნიშნულ კომბინატში, ასე აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში არ იყო შექმნილი ქურდებისა და გაძვერეზისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო და სრულიად თავმინებებული იყო საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა.

რევიზიების დაბალი ხარისხისა და ფორმალურად ჩატარების შედეგად კარგა ხანს აღმოუჩენელი რჩებოდა დიდი დატაცების ფაქტები დუშეთის, გეგეჭკორის, ორჯონიკიძის, ჩოხატაურის, აბაშისა და წალენჯიხის რაიონიმომხმარებლო კავშირებში, საქართველოს კურორტვაჭრობის წყალტუბოს განყოფილებაში.

სოციალისტური საკუთრების დაცვის ინტერესები მოითხოვენ მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა შერჩევისას პარტიისა და მთავრობის დირექტივების მტკიცედ დაცვას. არ უნდა დავიწყოთ, რომ კადრების შერჩევის დროს პარტიული პრინციპის დარღვევას, პოლიტიკური სიფხიზლის შესუსტებას ხშირად შედეგად მოსდევს სახელმწიფოსათვის დიდი ზარალის მიყენება.

მხოლოდ სიფხიზლის დაკარგვით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ აფხაზეთის კურორტვაჭრობის გაგრის განყოფილების ხელმძღვანელობამ № 27 სამრეწველო მაღაზიის გამგედ დანიშნა გ. ა. ბალათურია, რომელიც მანამდე ორჯერ იყო მსჯავრდადებული ანგარებითი დანაშაულისათვის. მაღაზიაში რამდენიმე თვის მუშაობის მანძილზე ბალათურიამ 100 ათას მანეთზე მეტი ზარალი მიაყენა სახელმწიფოს.

ასეთი მაგალითები ერთეულები როდია. ამას წინათ სამსჯავროს წინაშე წარდგნენ და ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ ვ. მ. მექვაბიშვილს, ი. რ. მელუხას, გ. ა. მერაბიშვილსა და სხვებს, რომლებიც მუშაობდნენ ართელ „რუსთავმრეწველში“ და საგარეჯოს რაიონის ართელ „გაერთიანებაში“ და ყალბი დოკუმენტების შედგენის გზით მითვისეს დაახლოებით 200 ათასი მანეთი.

დადგენილია, რომ მექვაბიშვილი, მელუხა და სხვები წინათაც ყოფილან გასამართლებულნი დატაცებისა და სხვა ბოროტმოქმედებისათვის და ახლაც, გაძვერნენ რა მატერიალურ და ფულად ოპერაციებთან დაკავშირებულ თანამდებობებზე, მაშინვე შეუდგნენ დანაშაულებრივ მაქინაციებს.

კადრების დანაგვიანებას ადგილი ჰქონდა საქვაჭრობის, აჭარის ყოფილ კოოპ-კავშირისა და საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მუშათა მომარაგების სამმართველოს სისტემებშიც.

ყოველად შეუწყნარებელია ისეთი ფაქტი, როცა საგამომძიებლო ორგანოებს დროზე არ გადასცემენ ხოლმე ძასალებს იმ პირთა შესახებ, რომლებიც მხილებული არიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებაში. კიდევ უფრო შეუწყნარებელია გამფლანგველებისადმი გამოქომაგებისა და მათი გამართლების ცდა, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

დიდი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო საკუთრების დაცვას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ დროს მიღებული გადაწყვეტილებანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების შესახებ გვრაწმავენ იმისათვის, რომ დაუზოგავი ბრძოლა ვაწარმოოთ საკოლმეურნეო დოვლათის დამტაცებელთა წინააღმდეგ.

უნდა ითქვას, რომ ბევრი კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიები ჯერ კიდევ ვერ დგანან მოწოდების დონეზე. საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა სერიოზულად მოიკოკლებს ზოგიერთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურშიც.

ამით სარგებლობენ ყალთაბანდები, ქურდები, სხვადასხვა ჯურის სპეკულანტები. მაგალითად, გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „დურიფშში“ რამდენიმე წლის განმავლობაში თავიანთ ბნელ საქმეებს აჭახრაკებდნენ კოლმეურნეობის მოლარე ვ. დ. პკინი, უფროსი ბუხჰალტერი მ. მ. მოროზოვი და სხვები. მათ ყალბი დოკუმენტების შედგენის გზით 600 ათას მანეთზე მეტი მიითვისეს. ამ საქმის გამო მსჯავრდადებულთა შორის არის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ბ. მ. ბიგვავა, რომელიც მონაწილეობდა საკოლმეურნეო ქონების დატაცებაში.

გამოვლინებულია მთელი რიგი ფაქტები, როდესაც კოლმეურნეობათა გამგეობები გვერდს უვლიან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, უკანონო ხელშეკრულებებს დებენ კომბინატორებთან და სპეკულანტებთან საოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებასა და გასაღებაზე. ამას წინათ გასამართლებულ იქნენ ა. ა. აივაზოვი, ა. ი. ტრაპაიძე, ა. ი. იაკოვენკო და სხვები, რომლებმაც ქარელის, გორისა და სტალინირის რაიონების კოლმეურნეობებში შეისყიდეს დიდძალი ვაშლი და შემდეგ მაღალ ფასებში გაყიდეს ვოროშილოვგრადში. ამ ოპერაციით მათ „მოიგეს“ 200 ათას მანეთზე მეტი.

გაფლანგვასა და დატაცებასთან ბრძოლა პროკურატურის, სასამართლოს, მილიციის ორგანოების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. მაგრამ ამ ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია, რაც ხელს უშლის ქურდებთან და გაიძვერებთან ბრძოლას. არასაკმაო აქტივობით ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა გაფლანგვასა და დატაცებასთან ბრძოლის შესახებ კანონის შესრულებაზე, ხშირია დატაცებათა საქმის გაჭიანურებისა და არადამაკმაყოფილებლად გამოძიების ფაქტები, რაც იწვევს საქმის დაბრუნებას ხელახალი ძიებისათვის. ზოგიერთი სასამართლოს პრაქტიკაში დღემდე ვხვდებით ყოველად შეუწყნარებელ ლმობიერებას ქურდებისა და სპეკულანტების მიმართ. ქურდების, დამტაცებლებისა და სპეკულანტების გარშემო ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ისეთი ატმოსფერო, რომელიც განამტკიცებს იმის რწმენას, რომ არც ერთი ბოროტმოქმედი დაუსჯელი არ დარჩება.

აშკარად არადამაკმაყოფილებელია ის ზომებიც, რომლებსაც პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები იღებენ იმ ზარალის ანაზღაურებისათვის, რაც სახელმწიფოს მოუვიდა გაფლანგვისა და დატაცების შედეგად. ამ ორგანოებმა მათი მუშაობის ეს ნაკლოვანება უახლოეს დროში უნდა აღმოფხვრან.

დატაცებასთან ბრძოლა მარტო სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის საქმე როდია. იგი ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის საქმეა.

როგორც პარტიის XX ყრილობაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, უნდა შეიქმნას ისეთი ვითარება, როცა ადამიანები, რომლებიც არღვევენ ქცევის ნორმებს, საბჭოთა მორალის პრინციპებს, გრძნობდნენ თავიანთი საქციელის დაგმობას მთელი საზოგადოების მიერ.

საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები სოციალისტური საკუთრების დაცვისა და განმტკიცების საქმეში სავსებით ემთხვევა ყოველი საბჭოთა ადამიანის საარსებო ინტერესებს, ვინაიდან სოციალისტური საკუთრების საფუძველზე დამყარებული წარმოების მიზანია საბჭოთა ხალხის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ კომუნიზმის შეგნებული და აქტიური მშენებლები, რომლებსაც ესმით, რომ ჩვენს ქვეყანაში პირადი კეთილდღეობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი დოვლათის გამრავლებისა და სოციალისტური საკუთრების განმტკიცების გზით. საბჭოთა ადამიანები ვერ შეურიგდებიან გულგრილობას დანაშაულებისადმი, რასაც იჩენს ზოგიერთი პიროვნება, რომლის შეგნებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს ძველი, ბურჟუაზიული მორალის გამომხატველი განწყობილება: „რა ჩემი საქმეა, მე რა მენაღვლება“.

სოციალისტური საკუთრების დაცვისა და განმტკიცებისათვის დაუღალავი ბრძოლა საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი აღმავლობის, კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი წინსვლის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს.

ს. ბელიავსკაია,
საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

ა. ი. მიქოიანი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ხანოი, 4 აპრილი. (საკუთარი). დღეს დღის პირველ ნახევარში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ შ. რ. რაშიდოვმა და ა. ა. მიქოიანის თანმხლებმა სხვა პირებმა დათვალიერეს ხანოის ელექტროსადგური „ენ-ფუ“ და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

მათ ახლდნენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის შრომის საყოველთაო კონფედერაციის თავმჯდომარე ხოანგ კუოკ ვიეტი, მრეწველობის მინისტრი ლე თხან ნგხი, სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის მინისტრი ნგიემ სუან �ეიმი და სხვა ოფიციალური პირები.

ა. ი. მიქოიანსა და შ. რ. რაშიდოვს გულთბილად მიესალმნენ ელექტროსადგურის მუშები და მოსამსახურეები. სტუმრებმა დათვალიერეს სარკვაბე, მანქანების დარბაზი და სამართავი პულტი. შემდეგ მუშათა კლუბში გამართულ შეხვედრაზე ა. ი. მიქოიანმა ელექტროსადგურის მუშებსა და მოსამსახურეებს გადასცა საბჭოთა კავშირის მშრომელთა მისალმება და უსურვა ახალი წარმატებები შემოქმედებითს შრომაში.

ელექტროსადგურის საპატიო სტუმრების წიგნში ა. ი. მიქოიანმა ჩაწერა: „დიდი კმაყოფილებით დავთვალიერე მუშების მიერ აღდგენილი ელექტროსადგური. ყველაფერში ჩანს ვიეტნამელი ხალხის ნიჭი. ახალ წარმატებებს გისურვებთ ახალი ვიეტნამის შენებლობაში“.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დათვალიერებისას ა. ი. მიქოიანი და შ. რ. რაშიდოვი დაწვრილებით გაეცნენ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ექსპონატებს, რომლებიც ვიეტნამში მოჰყავთ. სახელმწიფო მეურნეობათა პავილიონის დათვალიერებისას ა. ი. მიქოიანი შეეკითხა რესპუბლიკაში შექმნილ სახელმწიფო მეურნეობათა რაოდენობის, მათი წარმოების მიმართულების, ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის მინისტრმა ნგიემ სუან ეიმმა, რომელიც ახსნა-განმარტებას აძლევდა, განაცხადა, რომ ამჟამად უკვე შექმნილია ან იქმნება 14 სახელმწიფო მეურნეობა. სულ წლის ბოლოსთვის დაგეგმილია 18 სახელმწიფო მეურნეობის შექმნა. არის როგორც სპეციალიზებული, ისე მრავალდარგოვანი სახელმწიფო მეურნეობები. მაგალითად, სახელმწიფო მეურნეობა „ტამ დაო“ მოიყვანს ბამბასა და ბრინჯს. უკვე დათესილია 400 ჰექტარამდე ბამბა. ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მეურნეობა — „ფუ-კუი“ სპეციალიზდება ყავის ხის გაშენებაში. ყავის პლანტაციებში, რომელთა ფართობი 750 ჰექტარს შეადგენს, უკვე მიღებულია პირველი მოსავალი.

ა. ი. მიქოიანსა და შ. რ. რაშიდოვს სამახსოვროდ აჩუქეს სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ნიშნები.

დღის მეორე ნახევარში ა. ი. მიქოიანმა და შ. რ. რაშიდოვმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების სტუმრიდოუმის თავმჯდომარის ტონ დიკ თხანგის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გაწთლების მინისტრის ნგუენ ვან გუენის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის უნგ ვან ხიემისა და ხანოის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის ჩან ზუი ხინგის თანხლებით დათვალიერეს ხანოის უნივერსიტეტი. სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ სტუდენტები, პროფესორები და მასწავლებლები. უნივერსიტეტის რექტორმა დოქტორმა ხო დაკ ზიმ სტუმრებს აცნობა, რომ ამჟამად უნივერსიტეტში არის სამედიცინო-ფარმაცევტული და პედაგოგიური ფაკულტეტები, რომლებზეც სწავლობს სულ 1.600-მდე სტუდენტი — ორჯერ მეტი, ვიდრე ფრანგთა ოკუპაციის დროს. უნივერსიტეტში არის 10 ლაბორატორია, აღჭურვილი მოწყობილობით, რომელიც უმთავრესად მიღებულია საბჭოთა კავშირიდან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან.

მიმართა რა უნივერსიტეტის სტუდენტებს, ა. ი. მიქოიანმა უსურვა მათ სრულყოფილად დაეუფლონ ცოდნას, რათა სწავლის დამთავრების შემდეგ პრაქტიკულად წარმატებით გამოიყენონ იგი ვიეტნამელი ხალხის მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის.

შემდეგ ა. ი. მიქოიანი და შ. რ. რაშიდოვი ეწვივნენ ეროვნულ უმცირესობათა სკოლას, რომელიც ხანოის მახლობლად მდებარეობს. სკოლის მოსწავლენი, როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ვიეტნამის 40-ზე მეტი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლენი, სიხარულით შეხვდნენ სტუმრებს. გაიმართა პატარა კონცერტი, რომელზეც მოსწავლეებმა შეასრულეს ეროვნული ცეკვები.

ელექტროსადგურის, სასოფლო-სამეურნეო გამოფენის, ხანოის უნივერსიტეტისა და ეროვნულ უმცირესობათა სკოლის დათვალიერებისას ა. ი. მიქოიანს ახლდნენ იგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მ. ვ. ზიმიანინი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ნგუენ ლონგ ბანგი.

საბჭოთა ენერგეტიკოსების დელეგაცია ინგლისში

ლონდონი, 4 აპრილი. (საკუთარი). დღეს საბჭოთა ენერგეტიკოსების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ელექტროსადგურების მინისტრი გ. ვ. მალენკოვი, იყო ცენტრალურ სადისპეტჩერო პუნქტში და გაეცნო ინგლისის ენერგომომარაგების სისტემის მართვის მეთოდებს.

დელეგატები გაეცნენ იგრეთვე ლონდონის მიწისქვეშა საფოსტო კომუნიკაციების სისტემას, რომლებიც შესაძლებელს ხდიან სწრაფად და შეუფერხებლად მიიტანონ ფოსტა ქალაქის ყველა რაიონში.

ლონდონის რაიონის ელექტროენერგიის საკითხთა სამმართველომ საბჭოთა დელეგაციის პატივსაცემად გამართა საუზმე, რომლის დროსაც ლონდონის ლორდ-მერმა ბ-ნმა ეკროიდმა, ლონდონის რაიონის ელექტროენერგიის საკითხთა სამმართველოს თავმჯდომარემ ბ-ნმა რენდალმა და გ. მ. მალენკოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

უფრო გვიან დელეგაციის წევრებმა დათვალიერეს ინგლისის საუკეთესო საკონცერტო დარბაზი როიალ ფესტივალ-ჰოლი. დარბაზის არქიტექტორმა ჯ. ჰ. მარტიმ სტუმრებს გააცნო კონსტრუქცია დარბაზისა, რომელსაც მშვენიერი აკუსტიკური მონაცემები აქვს.

შემდეგ დელეგატებმა ინახულეს ლონდონის საგარეო საბჭო. საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი პრიჩარდი სტუმრებს მიესალმა და სთხოვა ლონდონის მცხოვრებთა სახელით სალამი გადასცენ მოელ საბჭოთა ხალხს. გ. ფ. მალენკოვმა აღუთქვა ბ-ნ პრიჩარდს, რომ საბჭოთა ადამიანებს გადასცემს ლონდონელთა კეთილ სურვილებს.

შვეიცარიის პრემიერ-მინისტრის ზ. ერლანდერის პრეს-კონფერენცია

3 აპრილს შვეიცარიის პრემიერ-მინისტრმა ტ. ერლანდერმა თავის რეზიდენციაში მოაწყო პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელ კორესპონდენტებისათვის. პრემიერ-მინისტრმა კმაყოფილება გამოთქვა მოსკოვში ყოფნისა და იმის გამო, რომ იგი გაეცნო საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებთანაც აწარმოება მოლაპარაკებას.

ტ. ერლანდერმა ჟურნალისტებს გააცნო საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის კომუნიკეს შინაარსი, რომელსაც ხელი მოაწერეს 3 აპრილს დღის ბოლოს. პრემიერ-მინისტრმა იგრეთვე უპასუხა კორესპონდენტთა შეკითხვებზე. (საკუთარი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 4 აპრილი. (საკუთარი). გუშინ გაიმართა უშიშროების საბჭოს ორი სხდომა, რომლებზეც გრძელდებოდა განხილვა საკითხისა ისრაელსა და არაბთა ქვეყნებს შორის დაზავების თაობაზე საერთო შეთანხმებათა შესრულების და საბჭოს იმ რეზოლუციების განხორციელების შესახებ, რომლებიც მიღებულია უკანასკნელ დროს პალესტინის საკითხზე.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე ირდანიისა და ლიბანის წარმომადგენლებს, რომლებიც საბჭომ მოიწვია როგორც განსახილველ საკითხში დაინტერესებული მხარეები, პრინციპულად არ გაუღიარებია ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ პალესტინის რაიონში გაგზავნილ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი და საბჭოს წარმოუდგინოს მოხსენება უშიშროების საბჭოს რეზოლუციისა და არაბთა ქვეყნებსა და ისრაელს შორის დაზავების საერთო შეთანხმებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ გენერალური მდივნის მისია არ უნდა გასცდეს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში არსებული მდგომარეობის შესწავლის ჩარჩოებს და რომ გენერალურმა მდივანმა არ უნდა გადადგას რაიმე ნაბიჯი ან გააკეთოს რაიმე წინადადება დაინტერესებულ მხარეებთან შეუთანხმებელად.

არაბთა ქვეყნების წარმომადგენლების კითხვებზე პასუხი გასცა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა, რომელიც უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეა ამ თვეში. მან კვლავ, ისევე როგორც საბჭოს ორ წინა სხდომაზე, უშიშროების საბჭოს წევრებსა და პირობა მისცა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება პალესტინის რაიონში გენერალური მდივნის გამგზავრების შესახებ შეზღუდული იქნება დაზავების შეთანხმებათა და უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხის შესწავლით. ამით ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ცდილობდა გაეფანტა არაბთა ქვეყნების წარმომადგენლების ის ეჭვი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შეიძლება მიეცეს ისეთი რწმენებანი, რომლებიც სცილდება აღნიშნულ შეთანხმებათა ჩარჩოებს.

ლოჯმა განაცხადა, რომ გენერალურმა მდივანმა თავისი მგზავრობის დროს უნდა ინოქმედოს დაინტერესებულ მხარეთა თანხმობით და ამასთან იხელმძღვანელოს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით და შეთანხმებებით დაზავების შესახებ.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა ბრილიმ განაცხადა, რომ მისი დელეგაცია არ ეწინააღმდეგება ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადებას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოველგვარი ნაბიჯი ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის შესანელებლად უნდა გადადგას მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით და უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისა და დაზავების შესახებ შეთანხმებათა სრული დაცვით.

ისრაელის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციის პროექტი სავსებით აკმაყოფილებს მის დელეგაციას. მან იგრეთვე თქვა, რომ, მისი დელეგაციის აზრით, რაიმე ცვლილება ან დამატება ამ პროექტისათვის სასურველი არ არის.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ა. ა. სობოლევი. საბჭოთა დელეგაცია, განაცხადა ა. ა. სობოლევმა, იზიარებს აზრს, რომ უშიშროების საბჭო დაუყოვნებლივ უნდა ადევნებდეს თვალყურს იმას, თუ როგორ სრულდება მისი გადაწყვეტილებანი, განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებშიც შეიძლება ადვილად წარმოიშვას საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის. ამიტომ ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით იმ ბეჭედს, რომელიც საფუძვლად უდევს შეერთებული შტატების რეზოლუციის პროექტს, ამასთან მხედველობაში გვაქვს, რომ პროექტი ძირითადად მისაღებია ყველა უშუალოდ დაინტერესებული ქვეყნისათვის. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია, რომ უშიშროების საბჭომ წინადადება მისცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მოახდინოს გამოკვლევა, თუ მხარეები რამდენად ასრულებენ როგორც შეთანხმებებს დაზავების შესახებ, ისე უშიშროების საბჭოს შესაბამის რეზოლუციებს.

ჩვენ იგრეთვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ უშიშროების საბჭომ რწმუნება მისცეს გენერალურ მდივანს შეუთანხმდეს მხარეებს იმ ღონისძიებათა მიღებისა და განხორციელების შესახებ, რომლებიც შეიძლება საჭიროდ იქნეს დაზავებით დაწესებული სადემარკაციო ხაზების გაყოლებით დაძაბულობის შესანელებლად. მაგრამ ჩვენ სავსებით ვეთანხმებით იმით, ვისაც ნიაჩნია, რომ ყველა ღონისძიება, რომლებიც ამ რაიონში განხორციელდება არსებული დაძაბულობის შესანელებლად, უნდა განხორციელდეს მხოლოდ დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებით და მათი ინტერესების ჯეროვანი დაცვით.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ ამ მდგომარეობის დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც უკანასკნელ დროს განსაკუთრებით გარკვევით იჩინა თავი ტენდენციამ, რომელიც დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო არაბთა და ისრაელის ომის თავიდან აცილების საბაბით ამზადებს არაბთა სახელმწიფოების საქმეებში პირდაპირი შეიარაღებული ჩარევის გეგმებს ამ რაიონის ქვეყნების სუვერენულ უფლებათა დარღვევით.

ამასთან დაკავშირებით, თქვა ა. ა. სობოლევმა, მსურს უშიშროების საბჭოს წევრთა ყურადღება მივაქცინ ცნობას, რომელიც 22 მარტს გამოქვეყნდა ამერიკულ, და არა მარტო ამერიკულ პრესაში, რომელშიც ინგლისის მთავრობის წრეებზე დამოწმებით ნათქვამი იყო, რომ ლონდონში დამთავრდა, როგორც იქ არის ნათქვამი, „24 საათის განმავლობაში ეფექტიანი სამხედრო ჩარევის“ გეგმის შემუშავება იმ შემთხვევაში, თუ დაიწყო საომარი მოქმედება არაბთა ქვეყნებსა და ისრაელს შორის. ამასთან, ნათქვამი იყო შემდეგ ცნობაში, გამოიყენებენ ინგლისის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ნაწილებს, რომლებიც უკვე გადაჰყავთ ახლო აღმოსავლეთ ზღვის აღმოსავლეთ რაიონებში.

არის იგრეთვე მთელი რიგი სხვა ცნობები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ამ რაიონში გადაჰყავთ არა მარტო ინგლისის, არამედ ამერიკის ჯარებიც.

იგრეთვე ცნობილია, განაგრძო სსრ კავშირის წარმომადგენელმა, რომ ამასთან ერთად ვაშინგტონში ამა წლის თებერვალ-მარტში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლთა შორის გაიმართა მთელი რიგი მოლაპარაკებანი ახლო და შუა აღმოსავლეთში სეპარატული მოქმედების შესახებ, რომლებსაც, როგორც ცნობილია, მოჰყვა მდგომარეობის გამწვავება ამ რაიონში.

შემდეგ, საფრანგეთის მთავრობის ინიციატივით მაისში დასახულია ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელზეც განხილულ იქნება იგრეთვე ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებული მდგომარეობა. რამდენადაც ვიცით, ამ თათბირზე ამ რაიონის ქვეყნების წარმომადგენლები მიწვეული არ არიან. ისე გამოდის, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების საქმეებს განიხილავენ და აწესრიგებენ ამ საკითხებით უშუალოდ დაინტერესებული მხარეების — ამ რაიონის ქვეყნების მონაწილეობის მიუღებლად.

ამგვარი მოქმედება, ისევე როგორც ყოველი სხვა ღონისძიება, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა მონაწილეობის მიუღებლად ხორციელდება, სულაც ვერ შეუწყობს ხელს ამ რაიონში დაძაბულობის შენელებას. დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის ნიუღებლად საკითხების ყოველგვარი გადაჭრა ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებს.

საბჭოთა დელეგაციას, აღნიშნა შემდეგ ა. ა. სობოლევმა, მიაჩნდა და მიაჩნია, რომ ყოველ მოქმედება, რომელიც შეეხება ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ინტერესებს, გამხლილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნას ამ რაიონის ქვეყნების მონაწილეობით და მათი ინტერესების ჯეროვანი დაცვით. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია იგრეთვე ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საკითხები არ შეიძლება განხილულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეთ, არამედ განხილულ უნდა იქნას უშინაარეს ყოვლისა უშიშროების საბჭოს მიერ, რომელსაც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, აკისრია მთავარი პასუხისმგებლობა მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის.

ითვალისწინებს რა ზემოაღნიშნულს, იგრეთვე იმ აზრს, რომლებიც დაინტერესებულ მხარეებმა გამოთქვეს რეზოლუციის პროექტის შესახებ უშიშროების საბჭოს სხდომებზე, საბჭოთა კავშირის დელეგაციას მიაჩნია, რომ შეიძლება გაუმჯობესდეს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის რეზოლუციის პროექტი. მასში ზოგიერთი შესწორების შეტანით. ილაპარაკა რა ამ შესწორებებზე, ა. ა. სობოლევმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაციას შეუძლია მხარი დაუჭიროს ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციის პროექტს, მასში რომ შეტანილი ყოფილიყო ზოგიერთი შესწორება, რომლებიც შეესაბამება დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებს და რომლებიც შედგენილია იმ სურვილების გათვალისწინებით, რომლებიც არაბთა ქვეყნების წარმომადგენლებმა გამოთქვეს უშიშროების საბჭოს სხდომებზე.

არ ჰქონდათ რა შესაძლებლობა გაეთათიანებინათ სსრ კავშირის წარმომადგენლის სიტყვაში მოყვანილი ცნობები ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის სეპარატული მოქმედების თაობაზე, დასავლეთის ამ სამი ქვეყნის წარმომადგენლები, დასძაყოფილნენ განცხადებით, თითქოს ამ ცნობებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ განსახილველ რეზოლუციის პროექტთან.

სხდომის ბოლოს გამოსულმა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმაც განაცხადა, რომ მისი დელეგაცია ვერ მიიღებს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტის საბჭოთა შესწორებებს, რამდენადაც, როგორც მან თქვა, ეს შესწორებანი თითქოს „არ აუმჯობესებენ“ ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციის პროექტს.

ჟენევაში ჩავიდა სსრ კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის XI სესიაზე

ჟენევა, 4 აპრილი. (საკუთარი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის XI სესიაზე მონაწილეობისათვის ქალაქ ჟენევაში ჩამოვიდნენ საბჭოთა დელეგაციის წევრები სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის ი. გ. კაბანოვის მეთაურობით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომა

ლონდონი, 4 აპრილი. (საკუთარი). გუშინ ლონდონში გამოქვეყნდა შემდეგი „კომუნიკე: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტი შეიკრიბა დღეს სხდომაზე 15.30-ზე გრინვიჩის დროით ლანკასტერ-ჰაუზში ეიუდ მოკის (საფრანგეთი) თავმჯდომარეობით. ქვეკომიტეტი განაგრძობდა მის წინაშე მდგომი საკითხების განხილვას. შემდეგი სხდომა გაიმართება 4 აპრილს 15.30-ზე გრინვიჩის დროით“.

ქალაქში მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი

ამსტერდამი, 5 აპრილი. (ოფიციალური სპეც. კორ.). პრეტენდენტთა ტურნირის მეხუთე ტურში ორ-ორ ბაზრ-ბაზრ-ბაზრ-